# ხელშეკრულება №02-05/04-10

ქ. თბილისი 04 აპრილი, 2016 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი", წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ზურაბ წერეთელის სახით (შემდგომში „ცენტრი") და მეორეს მხრივ, **სსიპ „მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ გუწაძის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი როგორც „მხარეები", ეხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონმდებლობით და ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 29 ივლისის №20.09.841. დადგენილებით დამტკიცებული ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის" წესდებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანია, არაუგვიანეს 2016 წლის 30 მაისისა სპექტაკლის „ძრისხანება" (რეჟისორი ხარო ხარატიშვილი) დადგმისთვის (შემდგომში „პროექტი") საჭირო ხარჯების თანადაფინანსება. პროექტის ხარჯთაღრიცხვა ხელშეკრულებას თან ახლავს (დანართი №1).

## 2. ხელშეწყობის ოდენობა

1. ხახელშეკრულებო თანხა შეადგენს 7300 (შვიდიათასსამასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ხარჯების ჩათვლით.

## 3. პროექტის ხარისხი

1. ბენეფიციარი იღებს ვალდებულებას, რომ პროექტის განხორციელების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს ცენტრის მოთხოვნებს.
2. ბენეფიციარის მიერ შესრულებული წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საქმიანობის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

## 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია 2016 წლის 30 ივლისამდე.

## 5. მიღება-ჩაბარების წესი

1. პროექტის განხორციელების დასრულება ფიქსირდება მიღება-ჩაბარების აქტით ცენტრისა და ბენეფიციარის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირია – ა(ა)ი „თბილისის კულტურული დონისძიებების ცენტრის" თავმჯდომარე ჩურაბ წერეთელი, პროექტების მართვის მენეჯერი შოთა ჭიჭინაძე და ციფსუფალი თეატრალური პროექტების კურატორი სოფიო სიხარულიძე.

## 6. ანგარიშსწორება

1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში – ლარში.

2. ანგარიშსწორება ცენტრის მიერ მოხდება პროექტის განხორციელების (სპექტაკლის დადგმა), ფაქტიური ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა

1. ცენტრს უფლება აქვს:

ა) პროექტის განხორციელების პარალელურად მოახდინოს პროექტის მიმდინარეობის შემოწმება/ინსპექტირება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და ცენტრის მოთხოვნებთან;

ბ) მოსთხოვოს ბენეფიციარს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

გ) ცენტრს უფლება აქვს ბენეფიციარის მხრიდან წინასწარი წერილობითი შეტყობინების შემდეგ მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის ცვლილება, რაც გამოიწვევს აღნიშნული ხელშეკრულების ცვლილების სახით. გარდა გარდა ჰონორარებისა და იმ შემთხვევისა როდესაც ხარჯთაღრიცხვაში განხორციელებული მუხლებს შორის ცვლილება არ სცდება თანხის სრული ოდენობის 10 პროცენტს.

2. ცენტრი ვალდებულია ბენეფიციარის სახარგებლოდ განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელშეწყობის ოდენობის ანაზღაურება.

3. ბენეფიციარს უფლება აქვს მოსთხოვოს ცენტრს განახორციელოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4. ბენეფიციარი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

ბ) შეასრულოს მასზე ნაკისრი მოვალეობები მაღალი პროფესიონალიზმითა და ხარისხით;

გ) პასუხისმგებლობით მოეკიდოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დასაფინანსებელი სამუშაოების განხორციელებაზე და მის ხარისხზე კონტროლი;

ე) გაითვალისწინოს ცენტრის მოსაზრება პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში;

ვ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე პროექტის განხორციელებაში შესაბამისი პროფესიონალების მონაწილეობა;

5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

6. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. თუ ბენეფიციარი ცენტრის წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად, არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ცენტრს უფლება აქვს:

7.1 ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და მოითხოვოს გადახდილი თანხის სრულად უკან დაბრუნება;

7.2 არ შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს ბენეფიციარს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 0. 5 %-ის ოდენობით.

8. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ბენეფიციარს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ამ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელებისას ხდება საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებებით დაცული ობიექტების გამოყენება, ბენეფიციარი ვალდებულია, პროექტის განხორციელებისას დაიცვას „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები და ხელშეკრული კანონით დაცული ობიექტების გამოყენებაზე შესაბამისი უფლებების მფლობელებისაგან და/ან ქონებრივი უფლებების კოლექტიურად მმართველი ორგანიზაციისაგან მიიღოს ნებართვა.

## 8. ფორს-მაჟორი

1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ცენტრისა და/ან ბენეფიციარის შეცდომებსა და დაუდეგრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბაჟო ტარიფების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მისანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

1. ხელშეკრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი სახის დავა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 10. გარდამავალი და დაკვნითი პირობები

1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და იხახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი პირი ცენტრთან და მეორე პირი ბენეფიციართან).

2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

3. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დებულებებით მინიჭებული უფლებები და დაკისრებული ვალდებულებები, ზუსტად იციან ამ დებულებების შინაარსი და საჭიროების შემთხვევაში მიღებული აქვთ შესაბამისი იურიდიული კონსულტაცია.

4. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ან/და დაეზუსტებული დებულებების მიმართ მხარეები მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის და დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებების შესაბამისად.

5. ხელშეკრულების ხელმოწერიდან ნებისმიერ დროს ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების ძალადაკარგულად ცნობა საკანონმდებლო ცვლილების, სასამართლო გადაწყვეტილების ან სხვა გარემოების საფუძველზე, არ იქონიებს გავლენას წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დებულების ნამდვილობაზე, ხოლო, მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ასეთ შემთხვევაში კეთილსინდისიერად აწარმოონ მოლაპარაკებები, რათა ხელშეკრულებაში შეტანილი იქნას ისეთი ცვლილებები, რომლებიც შეძლებისდაგვარად შეინარჩუნებს მხარეთა თავდაპირველ მიზანს.

*მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:*

| ცენტრი: | ბენეფიციარი: |
|---|---|
| ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი“<br>ს/კ 404906170<br>მის. ქ. თბილისი, ე. შარტავას ქ. 7<br>სახელმწიფო ხაზინა<br>კოდი TRESGE22<br>ა/ა **GE24NB03 3010 0200 1650 22**<br><br>თავმჯდომარე:<br><br>ზ. წერეთელი | სსიპ "მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი"<br>ს/კ 202270452<br>მისამართი: აღმაშენებლის გამზ.№164<br>სახელმწიფო ხაზინა<br>TRESGE22<br>ა/ა 708217015<br><br>დირექტორი:<br><br>ზ. გეწაძე |

დანართი №1

„მრისხახება"

| დასახელება | რაოდ. | ერთ. ფასი (ლარი) | ჯამი |
|---|---|---|---|
| დეკორაცია (შეძენა – დამზადება ესკიზის მიხედვით) | | | 7300 |
| სულ ჯამი: | | | 7300 |

| ცენტრი: | ბენეფიციარი: |
|---|---|
| ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი"<br>ს/კ: 404906170<br>მის. ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. 7<br>სახელმწიფო ხაზინა<br>კოდი TRESGE22<br>ა/ა **GE24NB03 3010 0200 1650 22** | სსიპ "მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი"<br>ს/კ 202270452<br>მისამართი: ალმაშენებლის გამზ.№164<br>სახელმწიფო ხაზინა<br>TRESGE22<br>ა/ა 708217015 |
| თავმჯდომარე:<br><br>ზ. წერეთელი | დირექტორი:<br><br>ზ. გეწაძე |

# მემორანდუმი №02-05/04-10

ქ. თბილისი 04 აპრილი, 2016 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი“ (შემდგომში „ცენტრი“), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ზურაბ წერეთელის სახით და მეორეს მხრივ, სსიპ „მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ გეწაძის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებული როგორც „მხარეები“,

ითვალისწინებთ იმას, რომ ცენტრი ახორციელებს ბენეფიციარის მიერ სპექტაკლის „ჩრისხახება“ (შემდგომში „პროექტი“) ხელშეწყობას, რაც აღნიშნულია მხარეთა შორის 2016 წლის 04 აპრილის №02-05/04-10 ხელშეკრულებაში, იმედოვნებთ, ბენეფიციარი აცხადებს თანხმობას, გაუწიოს პოპულარიზაცია ცენტრის საქმიანობას.

შეთანხმდით შემდეგზე

1. ბენეფიციარი პროექტის განხორციელებისას ცენტრის პოპულარიზაციის მიზნით, შესაძლებლობის ფარგლებში და პროექტის თავისებურებებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს:

ა) ცენტრის ლოგოს განთავსებას პროექტის ყველა ნაბეჭდ მასალაზე (მოსაწვევი, ბანერი, პოსტერი, აფიშა, ბანერი, კატალოგი, პრესბანერი, ა.შ.);

ბ) ცენტრის ლოგოს განთავსებას პროექტის სარეკლამო ვიდეო და რადიო რგოლებში, ასევე გარე რეკლამაზე;

გ) სრული დასახელებით განთავსებას პროექტის პრესრელიზში, თეატრალური ადგილზე;

დ) ლოგოს განთავსებას და სრული დასახელებით განთავსებას სოციალურ ქსელებში არსებულ პროექტის შესახებ ინფორმაციაში;

ე) წარმომადგენლის მოწვევას პროექტის პრესკონფერენციაზე სიიერის სახით;

ვ) ინტეგრირებას პროექტის შესახებ მოიარ სიუჟეტში;

ზ) ბანერის განთავსებას პროექტის სალონისძიებო სივრცეში;

2. ცენტრი მიცემული მემორანდუმის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებამდე ბენეფიციარს დროულად აწვდის ყველა საჭირო ინფორმაციას, რაც საჭიროა ზემოხსენებული პუნქტის შეუფერხებლად შესრულებისათვის.

3. მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა აქტივობა ხორციელდება ურთიერთშეთანხმებით (ცენტრის სტატუსის განსაზღვრა, პრესრელიზის წინასწარი განხილვა, ლოგოს ადგილის წინასწარი შერჩევა და ა.შ.) და ბენეფიციარი ითვალისწინებს ცენტრის რეკომენდაციებს და რჩევებს ცენტრის პოპულარიზაციასთან დაკავშირებულ აქტივობების განხორციელების თაობაზე.

*მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:*

| ცენტრი: | ბენეფიციარი: |
|---|---|
| ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი“<br>ს/კ: 404906170<br>მის. ქ. თბილისი, ფ. შარტავას ქ. 7<br>სახელმწიფო ხაზინა<br>კოდი TRESGE22<br>ა/ა **GE24NB03 3010 0200 1650 22** | სსიპ "მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი"<br>ს/კ 202270452<br>მისამართი: აღმაშენებლის გამზ.№164<br>სახელმწიფო ხაზინა<br>TRESGE22<br>ა/ა 708217015 |
| თავმჯდომარე:<br><br>ზ. წერეთელი | დირექტორი:<br><br>ზ. გეწაძე |